№ 8 21 იანვარი, პარასკევი 1866—1877 21 იანვარი, პარასკევი № 8

დროება

ГАЗЕТА ВРЕМЯ

ГАЗЕТА ВРЕМЯ

ГАЗЕТА ВРЕМЯ

ვენა 30 (18) იანვარს. ნემენცურ გაზეთს «პოლიტიკურ კორრესპონდენციას» ჰსწერენ ათონიდამ: კუმურდუროსმა სალსბიურს ლაპარაკის დროს აცნობა მოთხოვნილებანი საბერძნეთისა და მასთანავე უჩვენა შედეგები, თუ ვინიცობაა ეს მოთხოვნილებანი არ იქმნებიან დაკმაყოფილებულნი. სალსბიურმა ეს მოთხოვნილებანი ჩარაცხა სამართლიან მოთხოვნილებებად. —კონსტანტ-ფაშა ძიემგზავრება ტელეგრაფიში, რომ დიდი ვეზირის მინდობილებებით დაიწყოს მშვიდობიანობაზე მოლაპარაკება ჩერნოგორიასთან: იქვე ძიდიან კონსულები: იტალიისა, ინგლისისა, რომ დაესმარონ კონსტანტ-ფაშას მინდობილობების აღსრულებაში მოსაყვანად.

საქართველო

ღლიური

*** ზორიდამე გვწერენ, რომ იქ ამ უკანასკნელ დღეებში ყინვები და ამის გამო ერთობ სიცივეები დგასო. ეს კორრესპონდენტი, სხვ. მორ. ეძღვნის, ზორის პოლიციას, რომ ამათ ცოფიან ძაღლებს ამდენ ხანამდე ბოლო ვერ მოუღეს. „თითონ ჩემს პატარა ძმას მივარდნენ—გვწერს კორრესპონდენტი; და ვინაღამ დაგლიჯესო, გარდა ამისა ერთს ქუჩაზე მიმავალ კაცს გულზე ჰსცემოდნენ და ეკბინათ. აღრინდელი აფიცრის გაცოფიანების (?) არ იყოს, არ ვიცი რისთვის ამრავლებენ ძაღლებს: ზორის ყველა ყასაბხანების გარშემო, თითქოს იასაულები იყვნენ, ტევა არა აქვთ.“

*** „თფილისის მოამბეში“ (№ 12) სწერენ, რომ უფ. მირზუაშვილის ფაბრიკაზე მუშებმა მუშაობა შესწყვიტესო, რადგან მას, როგორც პირობა ყოფილა, ყოველი 31 ალაბი გაკეთებაში თითო შაური არ მიუმატებია, ის 92 მუშა, რომელნიც მირზუაშვილს მოსკოვიდამ ჰყოლია გამოწერილი, უკან დაბრუნებულან კიდეც, იმისავე ხარჯით, თუმც-სანამ მუშებს მართებლობა არ დაეხმარა, მას ამ ხარჯის გადახდაც არ უნდოდაო.

*** სიღნაღიდამ გვწერს ჩვენი კორესპონდენტი, რომ ამ ახლო ხანში ახლად მოკლული თავადის შაქრო ვაჩნაძის საფლავზე შესანდობარი დალიესო. „საკვირველიაო — იწერება ხსენებული კორრესპონდენტი, ამ გახსენებაზე, რომ როგორ ჩაჩუმდა ამ მკვლელობის თაობაზე გამოძიებაო. თუ საუკუნოთ განსვენებას მიეცა ეს გამოძიებაო?“

„დროების“ კორრესპონდენციები

ქუთაისი, 17 იანვარს. ბაგეგონებათ, ბატონებო, რომ იმერეთში დიდს სურვილს იჩენენ სწავლის მიღებისას; მოსწავლეთა რიცხვი ქალაქ ქუთაისში შესანიშნავია: ყველა სასწავლებლები გაესებულები არიან, მაგრამ ამ სურვილს ბევრი სხვა და სხვა დაბრკოლება უხვდება წინ. ერთი დაბრკოლებათაგანი გახლავთ მოსწავლეთა მატერიალური მდგომარეობა—საშინელი სიღარიბე ბევრის მათგანის. რომ გენახათ სახლები, სადაც ისინი ჰსდგანან ბინათ—გაჰკვირდებით, იტყვით, რომ აქ ძაღლებიც არ უნდა ჰსცხოვრებდნენ, არა თუ კაცები: ცივი, დაბალი, პატარა, უიატაკო, უჯერო, დღით ნათლოვანი, მიტომ რომ კედლებს ათასნაირად დაღრეჯიათ კბილები და უხვად უშვებენ შიგ სინათლესა და ღამე ბნელი, მიტომ—რომ სანთელი თავის დღეშიაც არ გაივლის ხოლმე ამ სადგომში. წარმოიდგინეთ, ზამთრის ცივი ღამეები და მოსწავლე ყმაწვილები ამისთანა სადგომებში: ცივი ქარი თავისუფლად გაქრი-გამოქრის კედლებში და თან ატრიალებს პატარა ცეცხლის ალს, რომელთანაც, მოკუნცხული სიცივისაგან, ძონძებში გამოხვეული, ზის მოსწავლე და-ცეცხლის სინათლეზე, ზეპიროობს თავის გაკვეთილებს. ბევრია ამ ნაირ მდგომარეობაში ქუთაისის სასწავლებლებთა შაგირდი, ბევრს უჭირს შეიტანოს სწავლისათვის გადასახადი, ბევრს უჭირს იქონიოს სახელ-მძღვანელოები, რომელნიც საჭიროონი არიან მისთვის. ამ გარემოებებს მოაქვთ ის, რომ შაგირდი ან თვითონ ველარ უძლებს გაჭირვებას და სწავლას თავს ანებებს, ან და უნდა ენერგიულად გადიტანოს ეს გაჭირვება, ოღონდ სწავლა მიიღოს, მაგრამ უფროსებისაგან იქმნებიან გამორიცხულნი. ერთმა სასულიერო სასწავლებელის მასწავლებელმა მიამბო, რომ შაგირდები პერიოდიულად უშვებენ ხოლმეო გაკვეთილებს; თურმე რამდენიმე ერთად ჰსდგანან და რიგ-რიგათ რჩებიან ხოლმე ბინაზე, საჭმელი რომ დაიმზადონ თავის ხელით. აქამდის არავითარი ყურადღება არ მიექცია ამ მოვლენამ, თითქო არ არის ჩვენში არც საზოგადოება, არც ცალკე პირები. ამდენიხანი არავინ გამოჩნდა, რომ ცოტა რამ მაინცა ჰქნას ამ სამწუხარო მდგომიარეობის შასამჩატებლად. ახლა როგორც შევიტყე აქაური გიმნაზიის და პროგიმნაზიის მასწავლებელთ წრეში დაბადებულა ერთი ჰაზრი, რომელიც-თუ მართლა სისრულეში მოვიდა, ძლიერ კარგი იქნება. ეს ჰაზრი იმაში მდგომარეობს, რომ შესდგეს ქუთაისის ღარიბთა მოსწავლეთა დამხმარებელი წრე. ამბობენ წესდებაც დაწერილაო ამ მომავალი საზოგადოების. ამ საზოგადოებაში იქმნებიან მასწავლებლები და ეგრეთვე კერძო-პირებიც, რომელთათვის საინტერესოა ბედი ახალგაზდა ყმაწვილებისა. შეერთებულ მოსაზრებას და რჩევას მასწავლებლებისა და კერძო პირებისა, შაგირდების ბედზე კაი გავლენა უნდა ექნეს. მე მგონი, რომ იმნაირი მდგომიარეობა, როგორიც ახლაა მასწავლებლებ შუა და საზოგადოების შუა, რომლის შვილები ამ მასწავლებლებთან ჰსწავლობენ, მავნებელია. მასწავლებლები ისეთ ნაირად არიან მოგლეჯილნი აქაურ საზოგადოების ცხოვრებასთან, თითქო მათი წოდება ძველი ინდოეთელი კასტა იყოს რომელიმე. მაგრამ ამბობენ, რომ აქაური გიმნაზიის დირექტორი თურმე ამბობს, რომ ეს საზოგადოება შეუერთდეს იმ საზოგადოებას, რომელიც იწოდება „Общество краснаго креста.“ საიდგან სადაო, წმინდა საბაო“. შინ რომ ვინმე შიმშილით ჰკვდებოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდა? ჩვენი მიუცილებელი საჭიროება რომ დავაკმაყოფილოთ, სი საქმე წავიყვანოთ კარგად, რომლისთვის ხელი მოგვიკიდია, ის არა ჰჯობია? იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოება მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ამ „საზოგადოებაში“, რომლისაც საჭიროება დიდი ხანია ნაგრძნობია. და ეს კარგი საქმე იქნება, თუმც ისეთ საქმეს, ისეთს საზოგადოებას არ მიაკერეს, რომელსაც სულ სხვა მნიშვნელობა და სხვა მიზანი აქვს.

10-ს ამ თვეს ერთი ამბავი მოხდა ქვემო-იმერეთში, რომელიც უსათუოდ კაი ხნის სალაპარაკო მასალას მისცემს ბევრს ჩვენს ქალაქში. ერთს აზნაურს, უ. ბ. ლ. ცოლი მოსტაცა ერთმა დგ—ემ. ეა ქალი თერთმეტის წლის იყო თურმე, როდესაც ლ. მაზე ჯვარი დაიწერა. საშინლად უვლიდა თურმე უ. ლ—ძე ამ ქალს, რომ გული არ აცურვებოდა მაზედ, ყარაული ჰყავდა თურმე ნიადაგ მიყენებული, რომ არავის გადაებიროს, მაგრამ გამოჩნდა, რომ ქალს სხვა ჰყვარებია, რომელიც ერთ მშვენიერ დილას მოსულა რამდენიმე ცხენოსანი კაცით, მოუტაცია და წაუყვანია. ახლა საჩივარს იწყებენ. ვნახოთ რა იქნება. ეს ლ—ძე ნაქვრივალია თურმე. პირველი ცოლიც მცირე წლოვანი ჰყვანდა შერთულიო, მაგრამ ის არავისთან გაქცევიაო. ზოგნი ამბობენ, რომ ქალის მზითევი იყოო მიზეზი ქალის მცირე წლოვნად გათხოვებისაც და ახლა მოტაცებისაც. ორივე დასაჯერებელია. პირველი ქალის მამულს მოვლა უნდოდა, და მაშასადამე მიღებდა ვინმე ამ შრომას თავზე და შემდეგ სხვამ ისარგებლა უდროო დროს დამორჩილებული გულით.

ეს ხომ სალაპარაკო ამბავია. არ გნებავსთ არა სალაპარაკო? მოგეხსენებათ, რომ 1871 წელში თავად-აზნაურობისაგან მრავალი ნივთი იყო ძვირფასად ნაყიდი, რომლითაც მორთეს სამეფო სახლი. მას შემდეგ ბევრი რამ გადახდა თავზე ამ ნივთებს: ბევრი მოძრაობა გამოცადა, ბევრი მგზავრობა შეასრულა. თურმე ერთი ქუჩაც არ დარჩენილა ქუთაისში, რომ არ დაევლოს ზოგიერთ ამ ნივთებთაგანს. მინ იცის რა ნაირი ტაროსში, რა ნაირ წვიმაში და ქარიშხალში შეხვდომიათ მგზაესობა. ერთხელ ერთმა პოლიციაში მოსამსახურე პირმა კი შეაფარა თურმე თავის ბურულში, იმდენი მომჭირნეობა გამოიჩინა. მაგრამ კეთილიკაცების რიცხვი ხომ დაულეველი არ არ არის ქვეყანაზე. ერთხელაც იყო უბედურობას ეწიენ ეს ნივთები. ახლა გუბერნიის მარშლის განკარულებით ზოგიერთი ნივთები გაყიდულ იქმნენ და, როგორც გავიგეთ, ძლიერ იაფად. ამოღებული ფულიც უსათუოდ აზნაურობას არ დაეკარგება, მაგრამ რომ ასე უხვეროთ არ დაფანტულიყვნენ ეს ნივთები, მაინც კარგი იქნებოდა. ზოგი ერთების ჰაზრით ეს არ უნდა ესთქვათ ეითომ: „სსუო“ იძახიან. რატომ?.... ამ მოგზაურობაში გახლდათ დეკარაციებიც და სხვა სცენის მოწყობილება, რომლებსაც აქამდის წარმოდგენებისათვის ჰხმარობდნენ და ახლა, როდესაც სამეფო სახლი ჯარებმა დაიკავეს, ვინ იცის სად არიან და რა დანიშნულებაა ასრულებენ.

ვინცუნდა ეოო

სოფელი ხაშმი.

საზოგადოთ ყველას გვესმის, რომ ყველანი ემდურებიან თავიანთ სოფლის მოსამართლეებს, რიგზედ აუსრულებლობისა გამო თავიანთ ვალდებულებისა. ამასთანავე თუმცა აქამდისინ არა გვითქვამს-რა,—ეხლა ორიოდე სიტყვით ვლაპარაკობთ; ჩვენს მოსამართლეებზედ, ბატონო მკითხველებო, ყველას შეტყობილი გვაქვს, რომ სოფ. ხაშმის საზოგადოება არის შესარიცხავი სართისჭალის უჩასტკაში ერთსა და ორს პირველს სოფლებთან და, რასაკვირველია, გვეყოლება მოსამართლეთ აღმორჩეულნი საკუთრათ ამა სოფლიდგანვე იმისთანა პირნი, რომელნიც იქმნებიან შემძლენი ყოველის ღონის-ძიებით და გამოცდილნი ყოველს სოფლურს საქმეებში, რომლებიდგანაც გვქონდა იმედი, აღასრულებდნენ ყოველს თავიანთ ვალდებულებას ყოველის უინტერესო; მაგრამ ეხლა არ ვიცით, რაღა უნდა ვიფიქროთ: ღარიბებისას ვამობდით, შეუძლებლობისა გამო მოდიან შეცდომაშიო, მაგრამ ამათ გადააჭარბეს; ღარიბი მოსამართლეები ბევრს შიშსა და სინიდის ქვეშ იყვნენ, მინამ ესენი; ბატონო, ყოველ თვეს და დღეში დასდევენ მოჩივრები და სთხოვენ გააღონ სასამართლო და ისამართლონ, მაგრამ სუყველას უთქომენ—კვირას მოდით კვირას მაშინ გვექმნება სამართალიო მაგრამ აგერ მიდის სამი წელიწადი და ის კვირა ვერ ვიპოვეთ, რომ მართლა აღასრულონ და სასამართლო გააღონ, თუ არა ისე, რომ რომელიმე ინტერესი არა ჰქონდეთ. ხშირათაც არის, რომ პირველი პირი, რომელიც თავს მჯდომი არს და მეორე ამის ამხანაგი ერთმანეთის პატივის ცემით შევლენ სასამართლოში მხოლოთ თავიანთ საკუთარი გაცემულობის გასარჩევათ და ღვთისწყალობა გაქვსთ მოიგდონ თავიანთ მოვალე ხელში—და ერთი წელი სარგებელი მეტი მოიგდონ თავზედ და ისე სწყვეტამდნენ და უპოლიციოთ თვითონვე აღსრულებდნენ ერთი პირველის და პირველი მეორის პატივისცემით განჩინებას და მესამეს ვინ რასა ჰკითხამს თავიანთ ამხანაგობაში, რადგანაც მათ შორი შეუძლებელი და ღარიბია და ეშინიან, რომ იმის ვალიც ისე არ გადწყვიტონ.

როდესაც შეიტყობს ხალხი, რომ სასამართლოს გაუღიათ და რა იციან, თუ თავიანთ საკუთარი საქმისათვის სხედან, შეელენ მოჩივრები და ითხოვენ სამართალს.,—ყველას შეუტევენ და ეტყვიან, დღეს თქვენთვის არა გვცალიან, რა მოგარბენინებთო. მაინც მომცდარნი ხალხი სხედან და შეყურებენ თავიანთ საკუთარს გაცემულობისათვის, როგორ სამართლობენ. ბევრი იტყვის, ნეტავი მაგის ნახუთალი სამართალი ჩვენზედაც იკოდეთო.

შემდეგ ამ თავიანთ საქმეების გარჩევისა, რასაკვირველია, მოტანებული იქმნება სადილობა, ან სამხრობაც,—წამოდგება ამათი ახალი მწერალი და ეტყვის რომელსამე მოჩივარს, აბა წადი და საუზმეც მოამზადე მოსამართლეებისთვის, პური მიართვი, ჟურნალსაც თან მოვიტან და იქავ გადაწყვეტილობას ჩავწერ და კოპიოსაც იქავ მოგცემ. რაქნას ყოვლის გზით დალალულმა და უკმაყოფილო მომჩივარმა, შეუმზადებს სადილს; მივლენ თავიანთ მწერლით და გზირებით, დასხდებიან დაიქერენ ჯამებს. მასპინძლის ოჯახობის სადღეგრძელოებს რომ მორჩებიან, იქნება მეზობლებისაც დაიწყონ,—ბოლოს ან ჟურნალი სად არის და ან გადაწყვეტილობა. მხოლოთ კი აუთქომენ, რომ ხვალ კი უეჭველათ გავათავებთო; რასაკვირველია, ეს მომჩივარი იმ ღამეს არც კი დაიძინებს და ფიქრობს ხვალ უეჭველათ გაათავებენ ჩემს საქმესო; მაგრამ მეორე დღეს თავსმჯდომი პირველი მოსამართლე გამოუცხადებს, რომ როგორც შენა სჩივი ეგ საქმე სასისხლოს სასამართლო ყოფილა და ჩვენ არ შეგვეხებაო.

მომჩივარი ეტყვის, ნეტავ ეგ აზრები მინამ მოგვეგონებინათ, მინამ ქოცოს გამომიშრეტდითო. ბევრს მოჩივრებს სულ ამ გვარათ იშორებენ თუ ფული არ აქვთ—და თუ სამი მანეთი ბეჭდის ფული იქმნება ან მოსამართლე რა საჭირო არის და ან ჟურნალში ჩაწერა, რაც უნდა ქაღალდი იყოს დაწერილი, თუ დასაწერი, ბეჭდებს დაკრამენ—სხვა სოფლებში კი თურმე ორ აბაზზედაც ნაკლებ მორჩება კაცი ბეჭდის ფულსაო, მაგრამ ჩვენში სამ მანეთზედ ნაკლებ ძვირათ შეიძლება.

ნეტავი სწორეთ ვიცოდეთ ეს ბეჭდის ფული რას მიეკერება? ეს კი შეგვიტყვია, რომ კანცელარიის გასავრცელებლად და გასამშვენიერებლად არისო, მაგრამ ამათ ძველი მოსამართლეებისგან შეძენილი კანცელარიის სკამებიც კი დაამტვრიეს და დაწვეს და თვითონ ეხლა ფიცრებზედ სხედან, საწერ-კალამს მიკიტან-ხანაში დათხოულობენ.

უცხო ქვეყნები

ოსმალო. ნემენცურს გაზეთში „პოლიტიკურ კორრესპონდენციაში“ სტამბოლიდამ შემდეგს ამბავს იწერებიან: „დღევანდელ (8 იანვარს) დიდი რჩევის კრებაში 220 წევრი იყო და ამათს შორის 54 ქრისტიანიც. ამ კრებაზე ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ მითჰად-ფაშისაგან წარმოთქმული სიტყვით, რომელშიაც მან ნათლათ გამოხატა—თუ რა მოელის ოსმალოს სახელმწიფოს იმ შემთხვევაში, თუმც რომ მისმა მმართებლობამ ვარი სთქვა ყველა იმ წინადადებაზე, რომელთაც მას კონფერენციის წევრები წარმოუდგენენ. მითჰად-ფაშამ, სხვათა შორის თქვა, რომ ოსმალოს მმართებლობისაგან ამ ვარის თქმის შედეგი უთუოთ ომი იქნებაო, რომელიც ბოლოს მოუღებს და დაარიერებს—ისედაც ცარიერს, სახელმწიფო ხაზინას;—ომს მოჰყვება ხალხის და ქვეყნის სილატაკე და საზოგადო შიმშილიო. თუმც ერთობ მჭევრმეტყველურად ილაპარაკა მითჰად-ფაშამ, მაგრამ, მისმა სიტყვამ ვერავინ იქ მყოფთაგანი ვერ დაარწმუნა და კრებამაც ერთ ხმათ გარდაწყვიტა—უმთავრესი სახელმწიფოების მოთხოვნილებებზე მტკიცე ვარის თქმა: „სჯობს ყოველგვარი გაჭირვება მოვითმინოთ, თვით სიკვდილს მივსცეთ თავი, ვინემც დავთანხმდეთ იმას, რასაც ჩვენგან კონფერენციის წევრები თხოულობენ.“ მანსაკუთრებითი აღტაცებაში მოიყვანა კრება იმ სიტყვებმა, რომელნიც მეხემედ-რუშდი ფაშამ წარმოსთქვა. ამან სთქვა: „უმთავრესი სახელმწიფოების მოთხოვნილებების მიღება ოსმალოს მართებლობისაგან იქნება დასაწყისი იმ ავათმყოფობისა, რომელიც, მას თანდა-თან დააუძლურებს და-ბოლოს, საფლავამდინაც მიიყვანს.“ — ამ კრებაზედ სომხებმაც სთქვეს ოსმალოს მართებლობის და მისი მოქმედების გასამართლებელი სიტყვები, რომლებითაც კრება უფრო აღტაცებაში მოდიოდა, რადგან ხედავდა, რომ ქრისტიანებიც კი ოსმალოს სასარგებლოთ ლაპარაკობდნენ.

— მარკიზ სალსბიური, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ამ ჟამათ აღარ არის სტამბოლში, მაგრამ—სანამდისინ იქ იყო, იქაური მცხოვრებლები, სამზღვარ გარეთელი გაზეთების სიტყვებით, ერთობ მომდურებული და აღელვებული ჰყავდაო კონფერენციაზე თავისი მოქმედებით. ოსმალელი, ბერძნული და სომხური გაზეთები, ისე ნომერს არ გაუშვებდნენ, რომ შიგ რამე დაცინვა ან მწარე სიტყვა არ მიარტყათ სალსბიურისთვისა. ამასთან ერთად, რასაკვირველია, არც დანარჩენ სახელმწიფოების წარმომადგენლებს ზოგავდნენ, მაგრამ—ყველაზე უფრო მაინც სალსბიურს აძაგებდნენ და დასცინოდნენ. ამას აბრალებენ, სხვათა შორის, ვითომც მან თავისი მოქმედებით დანარჩენი სახელმწიფოების წარმომადგენლებიც გაჰხვია რუსეთისაგან დაგებულს მახეში.

— სტამბოლში მანიფესტაციას ამზადებენ იმ განზრახვით, რომ მითჰად ფაშას გააბედვინონ კონფერენციის სხდომების პროტოკოლების გამოცხადება. ხმები არისო, რომ ეს მანიფესტაცია მმართებლობის თაოსნობით იქნებაო, რადგან თავათ პორტას აქვსო ინტერესი, რომ ეს პროტოკოლები საქვეყნოთ გამოცხადდეს: იმ პროტოკოლიდამ ევროპა დაინახავს და გაიცნობსო იმას—თუ უმთავრესი სახელმწიფოების წარმომადგენელნი რას თხოულობდნენ ოსმალოს მართებლობისაგან.—როგორც ამბობენ, პორტას კონფერენციისათვის წარუდგენია ეს წინადადება, მაგრამ უარი უთქვამთ.

— სამზღვარ გარეთელი გაზეთებში არზრუმიდამ იწერებიან: „იმ საშინელი მზადების შემდეგ საომრათ, რაც ჩვენ მხარეზე ამჟამათ არის, არავის არ შეუძლიან ეჭვი იქონიოს, რომ რუსეთსა და ოსმალოს შუა ომი არ იქნება. რამდენიმე თვეა მასაქეთ, ისე დღე არ გაივლის, რომ რამე გვარი საომო იარაღები არ შემოიტანონ სტამბოლიდამ. უმეტესი ნაწილი ამ იარაღებისა ყარსში და ან რუსეთის სხვა რომელიმე მოსამზღვრე ქალაქებში იგზავნება.—ამ იარაღებთან აგრეთვე დღე მუდამ ჯარები შემოდიან, თუ სტამბოლიდამ, თუ მოსსულიდამ და თუ დიარბეკირიდამ.

—

საფრანგეთი. მინისტრს-პრეზიდენტს ჟულ-სიმონს ამ დღეებში პარიჟელი დეპუტატები მიუღია ცალკე აუდენციაზე, რომლებშიაც სხვათა შორის მინისტრი (იუსტიციის) მარტელიც ყოფილა. პარიჟელ დეპუტატებიდამ, გარდა-ტიერის, გერცოგ დეკაზის და პასკალ დიუპრისა, ყველანი ყოფილან. წინამძღოლი და ორატორი ამ დეპუტაციის გამბეტა ყოფილა, რომელსაც პრეზიდენტისათვის ამ დეპუტატების თხოვნა (ნოტა) ჩაუბარებია—ამნისტიის შესახებ. ჟული დაჰპირებია მათ ამ თხოვნის განხილვას და აჩდე განუცხადებია, რომ იმ კომმისიაში, რომელიც ამნისტიის საქმეს განიხილავს, ყოფილიყვნენ იმისთანა წევრები, რომელთაც უფრო დაახლოვებით იციან პარიჟის საქმეები.

ამ ამნისტიის ეს სენის დეპარტამენტის დეპუტატები პარიჟის კომუნაში მონაწილე დანაშაულების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ თხოულობენ. ბევრნი ამ დანაშაულებთაგანი, მათდა უცნობლათ და მათ სამშობლოს გარეთ მყოფობის დროს იყვნენ განსამართლებულნი. ბევრს იმათგანს, თუმც სამშობლოდამ განდევნის ვადა დიდი ხანია გაუთავდათ, მაგრამ პოლიციის მხედველობის ქვეშ მაინც არიან და პარიჟში დაბრუნების ნებასაც არ აძლევდნენ, სადაც ადვილათ შეუძლიანთ ლუკმა პურის შოვნა. ჟულ სიმონი დეპუტაციას დაჰპირდა, რომ თავის მხრითაც იხმარს ღონისძიებას და მმართებლობასთანაც იშუამდგომლებს, რომ მათი მდგომარეობა შეამსუბუქონ; ნახავს და მოელაპარაკება აგრეთვე პარიჟის პოლიციის პრეფექტს ამ საგანზე.

ნარევი

ზღაპრული გამოცანები:

მღვდელი, დურგალი და მკერვალი მოგზაურობდნენ. დაუღამდათ და დადგნენ ერთ სოფელში. რადგანაც აქ შიშიანობა იყო და კარგა ხანს ველარ წავიდნენ, პირველ ღამეს აყარაულეს დურგალი, რომელმანც გააკეთა მშვენიერი ხის ქალი; მეორე ღამეს აყარაულეს მკერვალი; ამან ხის ქალი მორთო მშვენიერი ტანისამოსით; მესამე ღამეს მღვდელი; მღვდელმა ამდენი ილოცა, რომ ხის ქალი გააცოცხლა. შეიქნა დავა და მოუვიდათ ჩხუბი: არა ჩემია, არა ჩემია და არა ჩემიაო!

რომელს ერგებოდა ქალი?

* * *

ბულთმისანი, ჩქარა მოსიარულე და მკურნალი ერთად მოგზაურობდნენ, დაუღამდათ, ერთი ოთახი იქირავეს და დადგნენ. ბულთმისანმა იფიქრა: „ჩვენს ხელმწიფეს ქალი უკვდება, ხვალ შუადღემდი უთუოდ მოკვდება. ხელმწიფე ამბობს, ვინც მოურჩენს, ქალსაც იმას მისცემს და ნახევარ სახელმწიფოსაც.“

— ჩემი წამალი რო მიესწროს ნამდვილათ მორჩებაო, სთქვა მკურნალმა.

— წამალს მე მივიტან შუადღემდიო, სთქვა ჩქარა მოსიარულემ.

მკურნალმა წამალი გააკეთა, ჩქარა მოსიარულემ წაიღო, მიიტანა იმ დროს, როცა სული ამოდიოდა, დაალევინა და მოარჩინა მივიდნენ ის ორი მგზავრებიც: ასტეხეს ჩხუბი: „არა მე მერგება, არა მეო.“

რომელს ერგებოდა ქალი?

* * *

ორსული ქალი ქრმითა და ძმით სამშობლოში მიდიოდა. დაუღამდათ ტყეში და ქალს მუცელი ასტკივდა. ბნელი ღამეა, ცეცხლი არ აქვსთ. რა ქნან? ბაიხედა ქმარმა და ტყეში ცეცხლი დაინახა; წავიდა მოსატანად, მაგრამ ცეცხლის პატრონებმა თავი მოსჭრეს. ძმამ უყურა, უყურა და ბოლოს თვითონაც წავიდა ცეცხლისთვის და ამბის გასაგებათ; ამასაც მსგავსი უბედურება შეემთხვა. დარჩა ბნელა ღამეში მარტოკა ქალი, რომელმაც დიდის ვაი-ვაგლახით შობა ვაჟი. ამ დროს გამოეცხადა ანგელოზი, მისცა ერთი ხელსახოცი და უთხრა: „შენ წახვალ, ძმისა და ქრმის თავებს სხეულებზედ მოშორებულებს იპოვნი; აიღე თავები, სხეულებზედ დაადგი, ეს ხელსახოცი მოუსვი და გაცოცხლდებიან; მაგრამ იმდენი კი ეცადე, რომ ქრმის თავი ძმის ტანზე და უკანასკნელი პირველისაზედ არ მოგივიდეს.“ ქალმა ყველაფერი ეგრე აასრულე, მაგრამ აკი თავები შეცთომით მოუვიდა მეტისმეტი სიხარულით, გაცოცხლებული კაცები ჩხუბობენ: „ჩემი ცოლია, შენი არ არისო.“

რომელს ერგებოდა ქალი?

თეოფ. ქანდელაკი.

* * *

არა, არა, სამართლიანათ ხომ დასჯის ღმერთი კაცს?

— რაეა, ბეჩა, ბერიკა, რას ამბობ?

— აბა, უკუდო ხარი თვითონ არ იყო და სხვას ბუზს უგერებდაო, სწორეთ ისე დეემართა.

— იმე ახირებული ხარ, მამაჩემი ნუ წამიწყდება, თუ დეიწყე თქვი ბარემამ და ის იქნება, თვარა რომ არაფერსა გავს.

— არა, რა მიარბენიებდა ქუთაისში?

„დროების" ფოჩტა

— ქ. ქ—ს პ—ენ მ—ძეს:—უ. პ. უმიკაშვილისაგან ახლად გამოცემული „ანდაზები" იყიდეთ და შიგ——ი ამ ანდაზას, მიაქციეთ ყურადღება: „უკუდო ხარი თავისთვის არ იყო, სხვას ბუზს უგერებდაო."

— იქვე უ. ზ. ც—ძეს:—ის ვილაც „ქალ-ბიჭა" რომ გაგჩენიათ გთხოვთ აქეთ ნუ გამოგვიგზავნით.

— იქვე უ. ვ—ც—ა—ი—ოს:—განაგრძე და ნურაფრის გეფიქრება....

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მოედანზე, ჩიტახოვის სახლებში

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი მინკიევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფი. ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობისა.

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11 მდინ—დოქტორი ანანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12-მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ანანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

განცხადებანი

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს. კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—98



ათასი პირი, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოთ საზღვარ გარეთ ვაჭრობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ მცენარეობითს ქინო-გლიცერინის პომადისა, რომელსაც თმა ამოჰყავს. ეს პომადა უცდია ბევრს გამოჩენილ ექიმობის მცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს



ქიმიის პროფესორისა ლანდგერიხტთან დანიშნულისა, ვენაში, უ. პლეიჩინსკისა და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველს და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსვლეპილი თავიც კი მალე თმით იმოსება. საკვირველათ თავის კეფას უმაგრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქეშს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

ყველა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

ფასი ბანკისა 2 მანეთი

ყოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

პომადა

„PASTA EUGENIE"

ამ პომადის გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Evgenie ისყიდება თფილისში ლანკოს მუზიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ვლადიკავკაზში—სევალთან და სტავროპოლში კურილოვთან, სადაც ისყიდება სხვა აქ მოყვანილი ნივთებიცა. ეს პომადა "Pasta" იმითია შესანიშნავი, რომ ცოტახნის ხმარების შემდეგ, ლაქები, ჭორფლი, ქერქეში და სიცხისაგან სახეზე მოდებულ სიმავე სრულიად იკარგება და მსწრაფლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამინის სიცხოველე ეძლევა. ყველაზე უფრო ეს პამადა იმათთვინ არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი, არის ვენის ქიმიის პროფესორი პლეჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავრობის მოწმობა.

ფასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.

ყოველ პამადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta"-ს აქვს თავის დაღი, ამურის სურათით და გამამგონის ხელის მოწერა. ყიდვის დროს ამას ყურადღება მიაქციეთ.

P. S. პამადა „Pasta" გამოსადეგია აგრეთვე იმათთვის, ვისაც ხორცის კანის ავათმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა ხორცის კანი ჰქონდეს სახეზე, ხელებზე და ყელზე. BERTHAE RIES.



ხელის პამადა

ეს პამადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ღრმა მოხუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.

თმის საღებავი—ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ფასი სამი მანეთი.

ტოკაის ბალზამი—საშუალება მაზოლისათვის. ფასი 60 კაპ. (54—46)

რკ. გზა.	დილა.		სალამ.		II კ.		III კ.	
თფილისი	9	36	4	54				
მცხეთა	—	—	—	—	-	68	-	38
გორი	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა	—	—			5	81	3	23
ქუთაისი	8	23			6	75	3	75
სამტრედია	—	—			7	73	4	29
აჰ.-სენაკი	—	—			8	57	4	76
ფოთი	11	44			9	75	5	42
ფოთი	8	40						
აჰ.-სენაკი	—	—			1	18	-	66
სამტრედია	—	—			2	6	1	14
ქუთაისი	11	51			3	4	1	69
ყვირილა	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური	5	41	1	6	5	84	3	24
გორი	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა	—	—			9	8	5	4
თფილისი	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
გორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს—პარასკ და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს—სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ. ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ: ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8

ბირჟა	მან.	კაპ
პეტერბურგი, 9 იანვარს.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში $3\frac{1}{2}$ პენსი.	—	84
პარიჟში $303\frac{1}{2}$ სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	$7\frac{1}{2}$	—
ბანკის ბილეთი 5%	93	25
მოგებიანი (პირველისესხი)	179	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	173	50
გირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.	83	—
ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$)	79	75
მოსკოვის (5%)	81	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	250	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	470	—
კავკაზის და მერკურის	206	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	720	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	240	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	269	—

მაზანდა	მან	კაპ.
თფილისი, 18 იანვარს		
პური შოთაგალის ფთ.	1	35
ქერი ფუთი	1	—
ბამბა ერევნისა, ფუთი	5	60
—ამერიკისა, ფუთი	6	20
გაპენტილი ბამბა ფთ.	7	—
მატყლი თუშური ფთ.	6	70
—თარაქამისა ფთ.	4	—
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ქონი, ფუთი	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	—
სტეარინის სანთელი, ფ.	11	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	65
—ცხვრისა, ლიტრა	—	72
სპირტი, ვედრო	8	—
შაქარი, ბროც. ფუთი	7	65
—ფხვნილი ფუთი	5	40
ყავა გრგვალი, ფუთი	20	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	30
ოქრო ½ იმპერიალი	7	—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Января 1877 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.